ხელშეკრულება

წინამდებარე **ხელშეკრულება** განხორციელების შესახებ (შემდგომში მოხსენიებული როგორც ,,**ხელშეკრულება**“) ფორმდება 2011 წლის 28 აპრილს შემდეგ მხარეებს შორის:

(1) **საქართველოს მთავრობა,** წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მისი უფლებამოსილი პირის, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის სახით, საქართველოს მთავრობის2011 წლის 21 აპრილს გამოცემული #890 ბრძანებულების საფუძველზე:

(2) **,,ტრანს ელექტრიკა ლიმიტედ“,** რეგისტრირებული მისამართი: საფოსტო ყუთი 958, ფაზეა ისთეითი, როუდ თაუნი, ტორტოლა, BVI #1479874; საფოსტო მისამართი: 28 ნეჰრუ ფლეისი, ნიუ დელი. 110019 ინდოეთი, ტელეფონი: +919 810180700; ფაქსი: +919 999983010 (შემდგომში მოხსენიებული, როგორც ,,კომპანია“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოჰინდერ ვერმას სახით:

(3) **შპს ტრანს ელექტრიკა ჯორჯია** – იურიდიული მისამართი #43, ბინა 41, ჭავჭავაძის გამზირი #1, თბილისი, საქართველო, საფოსტო კოდი 0162 (,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, პაატა წერეთლის სახით:

(4) **შპს ელექტროენერგიის სისტემის კომერციული ოპერატორი** – იურიდიული მისამართი: ბარათაშვილის ქ, #2, თბილისი, საქართველო (ESCO), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ირინა მილორავას სახით;

(5) **შპს ,,ენერგოტრანსი“,** იურიდიული მისამართი: ბარათაშვილისი ქ. #2, თბილისი, საქართველო, წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა სახნიაშვილის სახით.

პრეამბულა

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მთავრობამ და კომპანიამ შპს ,,კონტინტენტალ ენერგია“ (შემდგომში ჩანაცვლებული შპს ,,ტრანს ელექტრიკათი“ – ,,კომპანია“), 2007 წლის 29 ივნისს ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელშიც 2009 წლის 23 დეკემბერს შევიდა ცვლილებამდინარე ენგურზე ,,ხუდონის ჰიდროენერგო საწარმოს“ მშენებლობის შესახებ;

იმის გათვალისწინებით, რომ ურთიერთგაგების მემორანდუმის მუხლის 6.2 (შეცვლილი) თანახმად, ,,კომპანიამ“ განახორციელა პროექტის დეტალური შესწავლა და მოამზადა ,,პროექტის შესახებ დეტალური ანგარიში“ და მიზნად ისახავს განახორციელოს ხუდონის ჰიდრო ენერგო საწარმოს მშენებლობა, რომლის საწარმოო შესაძლებლობა იქნება 702MW;

,,კომპანიამ“ მოამზადა შეთავაზება საქართველოს მთავრობისათვის პროექტის დამატებითი განვითარების შესახებ.

ამჟამად, მხარეები პროექტის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, თანხმდებიან წინამდებარე ,,ხელშეკრულების“ პირობებზე, რომელთა თანახმად, ,,კომპანიას“ და ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ უფლება ექნებათ განახორციელონ პროექტი BOO საფუძველზე (განმარტება იხილეთ ქვემოთ).

ნაწილი 1. განმარტებები

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

1. **,,BOO“ –** ,,აშენება, საკუთრებაში ფლობა, ოპერირება“ (Build, own, operate), ანუ ექსკლუზიურi უფლება დიზაინზე, მშენებლობაზე, დაფინანსებაზე, საკუთრებაში ფლობაზე, განხორციელებაზე, ოპერირებაზე და ობიექტის ტექნიკურ მომსახურებაზე განუსაზღვრელი ვადით;
2. **,,ძალაში შესვლის თარიღი“** – ამ ,,ხელშეკრულების“ ხელმოწერის დღე;
3. **,,ელექტრო (ენერგო) ბალანსი“** – წლიური ენერგო ბალანსი;
4. **,,ESCO“** – შპს ,,ელექტრო სისტემის კომერციული ოპერატორი“;
5. **,,ET“** - შპს ენერგოტრანსი;
6. **,,GSE“** – შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა;
7. **,,საქრუსენერგო“** – სააქციო საზოგადოება გეს ,,საქრუსენერგო“.
8. **ET ხელშეკრულება** – ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის ET-სა და ,,კომპანიას/პროექტის შემსრულებელი კომპანიას“ შორის ,,პროექტთან“ დაკავშირებით.
9. **,,ხელშეკრულება ტრანსმისიის შესახებ“** – ხელშეკრულება კომპანიასთან GSE, ,,საქრუსენერგო“ ან რომელიმე მესამე მხარესთან, რომელიც ,,ET ხელშეკრულებასთან“ ერთად ქმნის სამართლებრივ საფუძველს ელექტროენერგიის ტრანსმისიისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ან/და საექსპორტო მიზნებისათვის.
10. **,,ობიექტი“** – ,,ხუდონის ჰიდრო ენერგო საწარმო“, რომლის ტექნიკური პარამეტრები მოცემულია თანდართულ ,,დანართში“;
11. **,,დაფინანსების ხელშეკრულებები“** – ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც, ,,კომპანია“ და/ან ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ პროექტთან დაკავშირებით მოიპოვებს სასესხო ან კაპიტალის დაფინანსებას ,,გამსესხებლებისაგან“.
12. **,,გამსესხებლები“** – კერძო ან სახელმწიფო ფინანსური ინსტიტუტები, კორპორაციები, ფონდები, ბანკები, საბალანსე ანგარიშები, კორპორაციული ოფისები, ა.შ., რომლებიც გასცემენ სესხებს ან კაპიტალს ,,კომპანიის“ ან /და პროექტის შემსრულებელი კომპანიისათვის“ პროექტის განხორციელების მიზნით;
13. **,, გენერირების ლიცენზია“** – დოკუმენტი, რომელიც გამოცემულია საქართველოს ენერგიისა და წყალ მომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რომელიც ადასტურებს ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ უფლებას ელექტრო ენერგიის გენერირებაზე განუსაზღვრელი ვადით.
14. **,,ხელშეკრულება ენერგიის გარანტირებულ შესყიდვაზე’** – პირდაპირი ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება ,,კომპანიას“/,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ და ,,ESCO-ს“

შორის ,,ობიექტის“ ამოქმედებამდე ამ ,,ხელშეკრულებაში“ განსაზღვრული კომერციული პირობების შესაბამისად.

15. **,,საინვესტიციო ხარჯები“** – ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ ანგარიშებისა და ფინანსური დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,საინვესტიციო ხარჯები“ ამ ,,ხელშეკრულების“ დასრულების თარიღისათვის განიმარტება შემდეგნაირად:

(ა) თუ ,,ხეშეკრულების“ შეწყვეტა მოხდა სამშენებლო პერიოდში ,,ობიექტის“ მშენებელობის დასრულებამდე, ,,პროექტთან“ დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის და არა მარტო, სამშენებლო ხარჯები, დაზღვევის ხარჯები, განვითარების ხარჯები, საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები, ფინანსური ხარჯები (პროცენტი, ბანკის მომსახურების ტარიფები და საკომისიოები), კონფისკაციის ხარჯები, კომპანიის საქმიანობის შეჩერების ხარჯები, მათ შორის და არა მარტო, წინასწარი გადახდის ან მსგავსი ხარჯები, რომელიც ,,მსესხებელთა“ საშუალებით გადაეცემა ,,ფინანსური ხელშეკრულების“ საფუძველზე; სხვა ნებისმიერი ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ,,პროექტთან“ ,,ობიექტის“ მშენებლობის პროცესში; ასევე,მესამე მხარის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები;

(ბ) თუ ,,ხელშეკრულების“ შეწყვეტას ადგილი აქვს ,,ობიექტის“ მშენებლობის დასრულების შემდეგ, ყველა საინვესტიციო ხარჯი, რომელიც ამოღებული არ არის ,,პროექტის“ დასრულებამდე, მათ შორის და არა მარტო, ყველა სამშენებლო ხარჯი, საოპერციო ხარჯები, დაზღვევის ხარჯები, განვითარების ხარჯები, საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები, ფინანსური ხარჯები (პროცენტი, ბანკის მომსახურების ტარიფები და საკომისიოები), კონფისკაციის ხარჯები, ,,გამსესხებლების“ მიერ გაცემული ,,სესხის“ მიმდინარე ბალანსზე ,,ხელშეკრულების“ დასრულების დროისათვის დარიცხული პროცენტი და ყველა სხვა ხარჯი, რომელიც პროექტის დასრულების თარიღისათვის ,,პროექტზეა“ დახარჯული.

16. **,,ოპერირების წელი“** – თითოეული საოპერაციო ცელი, რომელიც იწყება 1 სექტემბერს და სრულდება შემდეგი წლის 31 აგვისტოს;
17. **,,მხარეები“** – საქართველოს მთავრობა, ,,კომპანია“, ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“, ESCO და ET ერთობლივად;
18. **,,ძირითადი მხარეები“** – საქართველოს მთავრობა, ,,კომპანია“ და ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“;
19. **,,პროექტი“** – მდინარე ენგურზე ხუდონის ჰიდრო ენერგო საწარმოს მშენებლობა და ოპერირება BOO–ს საფუძველზე.
20. **,,სამშენებლო ადგილი“** – ადგილი, სადაც განთავსებულია პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ყველა საშუალება, ელექტროენერგიის გენერირების საწარმო, მიწა, კალაპოტი, გზები; ნებისმიერი უფლება, რომელიც მოპოვებულია ან იქნება მოპოვებული ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ მიერ ,,პროექტთან“ მიმართებაში, მიწისზედა ან მიწისქვეშა ნაგებობები, რომლებზეც უნდა აშენდეს

ხუდონის ჰიდრო ენერგო საწარმო ან მისი რომელიმე ნაწილი; ნებისმიერი უფლება სამშენებლო ობიექტთან საზოგადოებრივი გზატკეცილებიდან მისადგომლობის შესახებ;

21. **,,სახელმწიფო“** – იგულისხმება ,,საქართველო“.
22. **,,კომერციული ოპერირება“** – გულისხმობს პერიოდს მას შემდეგ, რაც პროექტის ფარგლებში დაიწყება ელექტრო ენერგიის რეგულარული გენერირება და შესაბამისად, წარმატებით დასრულდება ყველა სახის გამოცდა პროდუქტის გამოყენების პრინციპების გათვალისწინებით;
23. ,,პრინციპი აიღე ან გადაიხადე“ – პრინციპი, რომელიც განსაზღვრულია ET ხელშეკრულებაში:

    (ა) ET თანხმდება ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიას“/,,კომპანიას“ (შემთხვევიდან გამომდინარე) მიაწოდოს საჭირო სიმძლავრე ,,საექსპორტო ხაზის“ საშუალებით ,,ობიექტის“ ხანგრძლივობის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ ET ვერ უზრუნველყოფს ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“/,,კომპანიას“ ზემოხსენებული სიმძლავრით, იგი ვალდებულია ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“/,,კომპანიას“ (კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე) აუნაზღაუროს ზარალის სრული ოდენობა, თუ აღნიშნული ზარალი იქნება გამოწვეული თურქეთისათვის ,,საექსპორტო ხაზის“ საშუალებით ელექტრო ენერგიის მიუწოდებლობით; ,,კომპანია“ ასევე აანაზღაურებს სხვა ნებისმიერ შესაბამის ხარჯს;

    (ბ) ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“/,,კომპანია“ (კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე) თანახმაა ET–ს გადაუხადოს მისთვის მოწოდებული მომსახურებების საზღაური ,,საექსპორტო ხაზთან“ დაკავშირებით და თუ ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“/,,კომპანია“ (კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე) იყენებს ტრანსმისიის მომსახურებებს ET–საგან განსაზღვრულ ოდენობაზე დაბალი ოდენობით, მაშინ, ,,პროექტის შემსრულებელმა კომპანიამ“/,,კომპანიამ“ (კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე) უნდა გადაიხადოს ეს ოდენობა ET–ს ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი შეუსაბამობა არის პირდაპირი შედეგი ET–ს ან საქართველოს მთავრობის მიერ ამ ,,ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ ვალდებულებათა დარღვევისა და საფუძველი ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიისათვის“/კომპანიისათვის მოგების დაკარგვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისა.

24. **,,მოქმედების ვადა“** – ვადა, რომელიც განსაზღვრულია ამ ,,ხელშეკრულების“ ნაწილში 5.1 და რომლის გასვლის შემდეგ, ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“/,,კომპანია“ ფლობს სრულ უფლებას საკუთრებაში ჰქონდეს და ამუშავებდეს ,,ობიექტს“.
25. **,,ტრანსმისიის ქსელი“** –ტრანსმისიის შიდა ხაზი და საექსპორტო ხაზი.
26. ,, **ტრანსმისიის შიდა ხაზი**“ აღნიშნავს ტრანსმისიის შიდა ქსელს, რომელიც გამოიყენება ენერგიის ტრანსმისიის მიზნით ,,ობიექტიდან“ შიდა დამაკავშირებელ სადგურებამდე ,,საექსპორტო ხაზის“ გავლით.

27. **,,საექსპორტო ხაზი“** – 500/400 კილოვატ ენერგიის გამტარი ხაზი ახალციხიდან თურქეთის საზღვრამდე, რომელსაც ფლობს და ამუშავებს კომპანია ET.

1.2 ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებული სხვა პირობები და განმარტებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული მნიშვნელობით.

ნაწილი 2. ,,ხელშეკრულების“ საგანი

2.1. წინამდებარე ,,ხელშეკრულების“ მიზანია ,,კომპანიის“ მიერ ,,პროექტის“ განხორციელებისათვის საჭირო პირობებისა და ვადების დადგენა. მასში განსაზღვრული პირობები პერიოდულად იცვლება ამ ,,ხელშეკრულების“ ნაწილის 12 პირობების შესაბამისად.

2.2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი პრინციპებისა და დებულებების გათვალისწინებით, ,,კომპანია“ ვალდებულია უზრუნველჰყოს ,,პროექტის“ განხორციელება ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ მიერ. რაიმე სახის ეჭვის, გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ,,ხელშეკრულებით“ ,,კომპანიისათვის“ მინიჭებული ყველა უფლება, პასუხისმგებლობა და ვალდებულება უნდა იქნას გათვალისწინებული, როგორც უფლება, პასუხისმგებლობა და ვალდებულება ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიისა“, ხოლო ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ ყველა უფლება, პასუხისმგებლობა და ვალდებულება, როგორც ,,კომპანიის“ უფლება, პასუხისმგებლობა და ვალდებულება.

2.3. წინამდებარე ,,ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული დანართები განსაზღვრავენ იმ ,,ობიექტის“ ტექნიკურ პარამეტრებს., რომლებიც უნდა ააშენოს ,,კომპანიამ“/პროექტის შემსრულებელმა კომპანიამ“. ეს დანართები მოიცავს ინფორმაციას ,,ობიექტის ადგილმდებარეობის“ შესახებ, ასევე, დადგენილი სიმძლავრის, სავარაუდო ინვესტიციის, წლიურად გენერირებული ენერგიის მოცულობის შესახებ.

2.4. ,,კომპანია“ უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ამ ,,ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საკუთარი უფლებები და/ან ვალდებულებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე მხარეს. საქართველოს მთავრობას არ აქვს უფლება რაიმე მიზეზით უარი უთხრას ,,კომპანიას“ აღნიშნული თანხმობის მიცემაზე. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, უნდა აღინიშნოს, რომ ,,კომპანიასა“ და ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიას“ შორის რაიმე უფლების და/ან ვალდებულების გადაცემა არ მოითხოვს საქართველოს მთავრობის ღია თანხმობას, რადგან ეს თანხმობა უკვე განცხადებულია ამ ხელშეკრულებით. ვალდებულებათა გადაცემა ,,კომპანიასა“ და ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ შორის“ არანაირად არ ათავისუფლებს ,,კომპანიას“ ან ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ ვალდებულებებისაგან, არამედ გულისხმობს მათ უფლებას განახორციელონ ეს ვალდებულებები.

ნაწილი 3. პირობების პრეცენდენტი

3.1. ,,პროექტის კომპანიის“/,,კომპანიის“ ზოგადი ვალდებულებაა განახორციელოს ,,პროექტი“ ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ეს ვალდებულება პირობითია, თუ დაკმაყოფილებულია წინასწარი პირობები:

(ა) ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ მიერ გაცემულია ყველა საჭირო ლიცენზია და ნებართვა პროექტის განსახორციელებლად;

(ბ) ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ და/ან,,კომპანიას“ მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა;

(გ) ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ და/ან ,,კომპანიას“ და შესაბამის ,,გამსესხებელს“ შორის მიღწეულია შეთანხმება პირდაპირი ხელშეკრულების პირობებზე და ვადებზე (რომელიც დაფუძნებულია ამ ტიპის ხელშეკრულების საერთაშორისო სტანდარტულ პრინციპებზე) და ამგვარი პირდაპირი ,,ხელშეკრულების“ დროულ და მხარეთა შემაკავშირებელ განხორციელებაზე ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“/კომპანიის“ და ყველა შესაბამისი ,,გამსესხებლის“ მიერ.

(დ) ხელმოწერილია ხელშეკრულება კომპანიებთან ESCO, ET, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა და საქრუსენერგო, რაც უზრუნველჰყოფს ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიების“ უფლებებს (ა) ,,ტრანსმისიის ქსელის“ გამოყენებაზე. ამ ქსელის საშუალებით ხდება საქართველოში მდებარე ,,ობიექტზე“ წარმოებული ელექტროენერგიის ტრანსმისია და/ან ექსპორტი; (ბ) ESCO–ს მიერ ელექტრო ენერგიის გარანტირებული შეძენა, როგორც ეს განსაზღვრულია ამ ,,ხელშეკრულების“ ნაწილში 4.4.

(ე) ESCO, ET, საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა და საქრუსენერგო ახორციელებენ ამ ,,ხელშეკრულებით'“ მოთხოვნილ ნებისმიერ სხვა ვალდებულებას და ასევე, ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია ,,ხელშეკრულებაში ენერგიის შეძენის შესახებ“, რათა უზრუნველყოფილ იქნას ,,ფინანსური ხელშეკრულებების“ დახურვა.

(ვ) საქართველოს მთავრობამ და ,,პროექტის შემსრულებელმა კომპანიამ“ ერთობლივად მოამზადეს რეაბილიტაციისა და ადგილობრივი მცხოვრებლების გასახლების გეგმა. ეს ეხება მცხოვრებთ, რომლებზეც ,,პროექტმა“ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ან რომელთა გასახლებაც გამოწვეული იყოს მათ საცხოვრებელ ადგილზე პროექტის ობიექტის მშენებლობით.

3.2. თითოეული მხარე ვალდებულია განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება და მცდელობა, რათა დააკმაყოფილოს ამ ხელშეკრულების პირობები საკუთარი უფლებამოსილებისა და პასუხისგმებლობის ფარგლებში. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ამ ,,ხელშეკრულების“ ნაწილში 3.1 განსაზღვრული წინასწარი პირობები არ იქნება დაცული, იმის გათვალისწინებით, რომ ,,პროექტის შემსრულებელმა კომპანიამ“/,,კომპანიამ“ ყველა საჭირო ძალისხმევა განახორციელა აღნიშნული პირობების დასაკმაყოფილებლად, ,,კომპანიას“/''პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ არ ეთვლება ვალდებულებების დარღვევად , რადგან მან განახორციელა ყველა საჭირო მცდელობა ამ პირობების დასაკმაყოფილებლად.

3.3. წინასწარი პირობების დაურღვევლად, მხარეები თანხმდებიან ,,პროექტის“ განხორციელების მასშტაბებზე და ვადებზე. ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ვალდებულია დაიცვას ეს ვადები მიუხედავად პუნქტში 3.1 განსაზღვრული

პირობების შესრულებისა ისე, რომ თუ ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ ვერ შეძლებს ქვემოთ მოცემული ვადების დაცვას, საქართველოს მთავრობას უფლება ექნება დააკისროს ჯარიმა მუხლის 4.6 შესაბამისად. ამ დებულების მიზნებიდან გამომდინარე, ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ ვალდებულია:

(ა) ხუდონის ჰიდრო ენერგო საწარმოს ასაშენებლად განცხადება შეიტანოს სამშენებლო ნებართვაზე სათანადო წესის და საქართველოს კანონმდებლობაში განსაზღვრული ნებართვების მოთხოვნების დაცვით, მოიპოვოს ნებართვა და დაიწყოს ხუდონის ჰიდრო ენერგო საწარმოს მშენებლობა (რომელიც ექვემდებარება სამშენებლო ნებართვას და საქართველოს მთავრობის შესაბამისი უწყების თანხმობას) ,,ძალაში შესვლის დღიდან“ არაუგვიანეს 12 თვეში.

(ბ) დაასრულოს მშენებლობა სამშენებლო ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 60 თვეში.

(გ) დაიწყოს ,,ხუდონის ჰიდრო ენერგო საწარმოს ოპერირება მშენებლობის დასრულდებიდან არაუგვიანეს 12 თვეში.

ნაწილი 4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. პროექტის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, ამ ხელშეკრულების პირობების და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის შესაბამისად, ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ ვალდებულია:

(ა) მოიძიოს საჭირო ფინანსები ,,პროექტის“ ეფექტიანად განხორციელებისათვის;

(ბ) უზრუნველჰყოს საველე მონაცემების შეკრება პროექტის დეტალური დიზაინიდან, დაიწყოს ,,ობიექტის“ ინფრასტრუქტურის აღდგენა, რაც ექვემდებარება ,,სამშენებლო ნებართვის“ მოპოვებას;

(გ) შეისყიდოს ,,დანართებში“ აღწერილი ,,ობიექტის“ მშენებლობა და ოპერირება ამ ,,ხელშეკრულებაში“ და მის ,,დანართებში“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

(დ) საქართველოს მთავრობას პერიოდულად, კერძოდ კი, ყოველ ექვს თვეში, მიაწოდოს ინფორმაცია ,,პროექტის“ მიმდინარეობის შესახებ, ,,ძალაში შესვლის თარიღიდან“ ,,ობიექტის“ ექსპლოატაციაში გაშვებამდე;

(ე) უზრუნველჰყოს ამ ,,ხელშეკრულების დანართში“ განსაზღვრული ,,ობიექტის“ ტექნიკური პარამეტრების დაცვა ??? ვადაში.

4.2. წინამდებარე ,,ხელშეკრულებით“ ,,კომპანია“/პროექტის შემსრულებელი კომპანია“ იღებს ვალდებულებას, რომ ,,პროექტის“ განხორციელების პერიოდში დაიცავს მატერიალურ შესაბამისობას ამ ,,ხელშეკრულების“ დანართში ,,ობიექტისათვის“ განსაზღვრულ ტექნიკურ, იურიდიულ და სხვა პირობებთან.

4.3. ოპერირების პირველ ათ წელიწადში, ,,ობიექტის“ ექსპლოატაციაში ჩაშვების დღიდან (,,ოპერირების საწყისი პერიოდი“) ,,ობიექტის“ მიერ მთლიანად წარმოებული სიმძლავრე

ზამთრის თვეებში (დეკემბერი, იანვარი და თებერვალი – ,,ზამთრის თვეები“), ამ ხელშეკრულების ნაწილში 4.4. განსზღვრული პირობების შესაბამისად, გაიყიდება ექსკლუზიურად მხოლოდ საქართველოს შიდა ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რაც უნდა აისახოს შესაბამისი წლის ,,ელექტრო ენერგიის ბალანსში“ ან სხვა მსგავს დოკუმენტში.

4.4. ზემოთმოცემული პუნქტის 4.3 მიზნებისათვის, ,,ოპერირების საწყის პერიოდში“, ,,ზამთრის თვეებში“, ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ წარმოებულ ელექტროენერგიას საკუთარი შეხედულებისამებრ მიჰყიდის მხოლოდ საქართველოში მოქმედ შემსყიდველს უფასო (დერეგულირებული) ტარიფით და/ან ,,ენერგიის გარანტირებული შეძენის ხელშეკრულების“ შესაბამისად, რომელიც გაფორმდება ESCO–სთან. აღნიშნული ხელშეკრულება დაეფუძნება ე.წ. ,,პუტ ოპციის“ პრინციპს, რაც ,,კომპანიას“/,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ უფლებას აძლევს წარმოებული ენერგია მიჰყიდოს კომპანიას ESCO ტარიფით, რომელიც არ იქნება 5.84 აშშ დოლარზე (1 კილოვატ ენერგიაზე) ნაკლები (პუტ ოპციის ფასი“) შიდა შეერთების პუნქტში. ,,პუტ–ოპციის“ უფლებების შეზღუდვის გარეშე, მხარეებს შეუძლიათ ტარიფზე შეთანხმება ელექტრო ენერგიის ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით. თუმცა, ფასი არ უნდა აღემატებოდეს, ამ დროისათვის საქართველოში არსებულ თერმულ გენერაციას. ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“/,,კომპანია“ უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ გაყიდოს გენერირებული ენერგია ან ექსპორტზე გაიტანოს ელექტროენერგია. თუ ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ გამოიყენებს ამ პუნქტში მოხსენიებულ ,,პუტ–ოპციის“ უფლებას და ESCO ვერ შეძლებს მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძინოს გენერირებული ენერგია სხვადასხვა მიზეზთა გამო (მაგ. შემცირებული მოთხოვნა), იგი ვალდებულია ,,კომპანიას“/პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ გადაუხადოს ფასში სხვაობა, კერძოდ, სხვაობა ,,პუტ–ოპციის ფასა“ და ზამთრის თვეებში გენერირებული ენერგიის ალტერნატიული გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს შორის, თუ რა თქმა უნდა, , ,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ იპოვის სხვა შემსყიდველს.

4.5. პუნქტში 4.3 მითითებულ პერიოდში, ,,ობიექტის“ მიერ გენერირებული ენერგია უნდა გაიყიდოს პუნქტის 4.4 შესაბამისად, ხოლო ოპერირების თითოეული წლის სხვა თვეებში, ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“/,,კომპანიას“ აქვს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს ბაზარი (ადგილობრივი ან საექსპორტო), რომელსაც მიჰყიდის ელექტრო ენერგიას და ასევე, თავად შეარჩიოს ფასი.

4.6. პუნქტში 3.3. (რომელიც ეხება მხოლოდ ,,კომპანიას“/პროექტის შემსრულებელ კომპანიას“) განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს ,,კომპანიას“/ პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ დააკისროს ჯარიმა შემდეგი ოდენობით:

(ა) 1000 (ათასი) აშშ დოლარი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილების პირველ სრულ კალენდარულ თვეში.

(ბ) 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილების პერიოდის მეორე კალენდარული თვიდან მესამე თვის დასრულებამდე.

(გ) 3000 (სამი ათასი) აშშ დოლარი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაწყებული მეოთხე თვიდან დაგვიანების მეექვსე კალენდარული თვის დასრულებამდე.

(დ) 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, მეექვსე თვიდან დაგვიანების მეთორმეტე კალენდარული თვის ბოლომდე.

4.7. საქართველოს მთავრობის ზარალის ანაზღაურების უფლების შეზღუდვის გარეშე, პუნქტის 4.6 შესაბამისად დაკისრებული ჯარიმები (1 320 00, ერთი მილიონ სამას ოცი ათასი აშშ დოლარი – ,,ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა“) ჩაითვლება საქართველოს მთავრობის კომპენსაციად და ,,კომპანიის“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ ვალდებულებად პუნქტში 3.3 განსაზღვრული ვადების დარღვევასთან დაკავშირებით. გაურკვევლობისა და ეჭვების თავიდან ასაცილებლად, უნდა აღინიშნოს, რომ პუნქტი 4.6 ძალას კარგავს ,,ობიექტის“ კომერციული ოპერირების ძალაში შესვლის დღიდან.

4.8. იმ შემთხვევაში, თუ ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღის ვადაში საქართველოს მთავრობას წარუდგენს წერილობით ახსნა განმარტებას იმის თოაბაზე, რომ ვადაგადაცილება არ არის ,,კომპანიის“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ მიზეზით გამოწვეული, იგი გათავისუფლდება პუნქტით 4.6 დაკისრებული სანქციებისაგან და მას მიეცემა დამატებითი დრო ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

4.9. პუნქტების 4.6 და 4.8 მიზნებიდან გამომდინარე და გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ,,ხელშეკრულების“ ვადების ნებისმიერი დარღვევა არ ჩაითვლება ,,კომპანიის“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ ბრალეულობად, თუ იგი გამოწვეულია:

(ა) ფორს მაჟორული ვითარებით (პუნქტი 15.);

(ბ) საქართველოს მთავრობის მიერ ,,ხელშეკრულების“ დარღვევით;

(გ) ადგილობრივი ან სახელმწიფო თვითმმართველობის ორგანოების და მათი წარმომადგენლების უკანონო ქმედებებით, ვალდებულებათა დარღვევით;

(დ) საქართველოს ელექტრო სისტემის ტრანსმისიის და/ან გადაცემის ლიცენზიის მლობელთა ან/და მათი წარმომადგენლების არაკანონიერი ქმედებებით, ვალდებულებათა დაუცველობით (ნაწილობრივ ან სრულად).

4.10. ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანიაა“ ექვემდებარება ამ ,,ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაწევას, თუ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

(ა) ,, პროექტის“ განხორციელების ადგილის ირგვლივ არსებული ზოგადი სამართლებრივი და საზოგადოებრივი წესრიგის პრობლემები საფრთხეს უქმნის პროექტის შემსრულებელი კომპანიის ქონების უსაფრთხოებასა და დაცვას, მუშა ხელის სიცოცხლეს, მშენებლობას,

დიზაინს, წარმოებაში ჩაშვებას და შესაბამის ოპერირებას, ტექნიკურ მომსახურებას, მათ შორის, მშენებლობის ადგილთან მისადგომლობას;

(ბ) კლიმატური პირობები უაღრესად მძიმეა;

(გ) ადგილი აქვს პერსონალის ან საქონლის გაუთვალისწინებელ დეფიციტს, რაც გამოწვეულია ეპირდემიური ან სამთავრობო ქმედებებით;

(დ) ნაბისმიერი სხვა გაუთვალისწინებელი ფიზიკური პირობები, როგორიცაა ბუნებრივი ფიზიკური პირობები და ადამიანების მიერ შექმნილი თუ სხვა ფიზიკური დაბრკოლებები, გარემოს დაბინძურება, რის წინაშეც ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ აღმოჩნდა მშენებლობის მსვლელობისას, ნიადაგქვეშა და ჰიდროლოგიური პირობები, დაგვიანებები, დაბრკოლებათა აღმოფხვრის პრევენცია, რაც გამოწვეულია ან დაკავშირებულია საქართველოს მთავრობასთან ან სხვა სახელმწიფო უწყებებთან.

4.11. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულებათა შესრულების ვადა გადაწეულია (პუნქტი 4), ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ ვალდებულია გადაიხადოს პუნქტით 4.6 დაკისრებული ჯარიმები საქართველოს მთავრობის მიერ შეტყობინების გამოგზავნიდან 75 კალენდარულ დღეში.

4.12 ,,პროექტის“ განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, ამ ,,ხელშეკრულების პირობების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა:

(ა)საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დახმარება გაუწევს,,კომპანიას“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანიას“ ,,პროექტის“ განხორციელებაში, როგორც ეს გაწერილია ამ ,,ხელშეკრულებაში“. ამასთან, საქართველოს მთავრობა ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ დაეხმარება შესაბამისი ლიცენზიის და ნებართვების მოპოვებაში; კერძოდ, ეს ეხება (და არა მარტო) წყლის გამოყენების და გარემოზე ზემოქმედების ლიცენზიას. ასევე, ლიცენზიას/ნებართვას ასაფეთქებელი მასალების შენახვა/გამოყენებაზე, მდინარის კალაპოტის მასალების, რიყის ქვებნის, კარიერებიდან კლდის ნანგრევების გამოყენებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ დაიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

(ბ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელებსს ყველა საჭირო ქმედება, რათა აღკვეთოს პროექტისათვის საჭირო მასალების იმპორტირების ყველა შესაძლო შეფერხება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ,,კომპანიას“/პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ დაცული აქვს საქართველოს კანონმდებლობის ყველა შესაბამისი მოთხოვნა.

(გ) საქართველოს პრეზიდენტს გაუგზავნის შეთავაზებას ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიისათვის“ საჭირო მიწის პაკეტის და არსებული აქტივებისგადაცემაზე ,,ხუდონის ჰიდრო ენერგო საწარმოს“ მშენებლობისათვის სიმბოლურ ფასად ერთი (1) აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც თავისუფალია ნებისმიერი დაბრკოლებისაგან იმ პირობით, რომ ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიია“/,,კომპანია“ დაასრულებს ,,ობიექტის“ მშენებლობას

და/ან განახორციელებს ,,პროექტს (,,**გადაცემული აქტივები“).** ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიას“/,,კომპანიას“ მიენიჭება უფლება საკუთარი უფლებები და ინტერესები გადასცეს, გაასხვისოს ან შექმნას უზრუნველყოფის საგანი ,,გამსესხებლების“ სასარგებლოდ. იმისათვის, რომ ,,პროექტის შემსრულებელმა კომპანიამ“/,,კომპანიამ“ განახორციელოს საკუთარი უფლებები გადაცემაზე, გასხვისებაზე ან შექმნაზე, მან პირველ რიგში უნდა მოიპოვოს წერილობითი თანხმობა საქართველოს მთავრობისაგან. რაიმე ეჭვისა და გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ,,გამსესხებლებთან“ მოლაპარაკებების წარმოება, შესაბამისი ხელშეკრულებების სამუშაო ვერსიების მომზადება, მათ შორის, ვადების გაწერა და/ან წინასწარი შეთანხმებების რომელიმე სამუშაო ვერსიის მომზადება ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“/,,კომპანიის“ უფლებათა განსახორციელებლად, არ საჭიროებს საქართველოს მთავრობის წინასწარ წერილობით თანხმობას. ,,ობიექტის“ ოპერირების დაწყების შემდეგ, მიმდინარე შეზღუდვა გაუქმდება და ,,კომპანიას“/,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ უფლება ექნება თავისუფლად გადასცეს, გაასხვისოს ან შექმნას უზრუნველყოფის საგანი ,,გამსესხებელთა“ სასარგებლოდ.

(დ) იმ შემთხვევაში, თუ ,,კომპანია“ განაცხადს გააკეთებს ნებართვაზე/ლიცენზიაზე საქართველოს კანონმდებლობის ნორმების დაცვით , მაგრამ ნებართვა/ლიცენზია არ გაიცემა სახელმწიფო უწყებების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გაწერილ ვადაში, საქართველოს მთავრობა ვალდებულია ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიას“/,,კომპანიას“ მისცეს დამატებითი დრო ამ ,,ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად.

(ე) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ნება დართოს ან დაეხმაროს ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ შესაბამისი ნებართვების და უფლებამოსილების მოპოვებაში, რაც საჭიროა გზების, ხიდების, მილსადენების და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის (,,პროექტის“ საჭიროებებიდან გამომდინარე).

(ვ) აღიარებს, რომ ხუდონის ჰიდრო ენერგო საწარმო , რომელიც არის მდინარის საცავი სქემა, გამოიყენებს მდინარე ენგურის წყალს ელექტრო ენერგიის საწარმოებლად. ,,პროექტისათვის“ დინების საწინააღმდეგოდ წყლის გამოყენების უფლებას, ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ აძლევს საქართველოს მთავრობა ,,ხელშეკრულების ვადაში“ და ამისათვის არ აწესებს რაიმე სახის ,,როალტის“, მოსაკრებელს, ბაჟს ან რაიმე სახის გადასახადს წყლის ამგვარ გამოყენებაზე, გარდა წყლის რესურსების გამოყენების ტარიფებისა, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

(ზ) ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ უზრუნველჰყფოს ყველა სახის დახმარებით, რაც საჭიროა შესაბამისი უწყებების მხრიდან ნებართვების მოსაპოვებლად შეძენილ/იჯარით აღებულ მიწაზე არსებული ხეების ამოსათხრელად , თუ ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“/,,კომპანია“ მიიჩნევს რომ, ხეების მოჭრა ან გატანა საჭიროა პროექტის განხორციელების მიზნებისათვის.

(თ) თანახმაა, პროექტის შემსრულებელ კომპანიას“, ,,კომპანიასა“ და ,,გამსესხებლებს“ შორის არსებული ,,ფინანსური ხელშეკრულებების“ დახურვის უზრუნველსაყოფად გაითვალისწინოს

ნებისმიერი გონივრული მოთხოვნა ამ ,,ხელშეკრულებაში“ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე ან ,,გამსესხებლებთან“ სხვა შესაბამისი ,,ხელშეკრულებების“ ხელმოწერის შესახებ პუნქტის 12.3 დებულებათა შესაბამისად.

(ი) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დახმარება გაუწიოს ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“/,,კომპანიას“კომპანიებთან ET, ESCO, GSE და ,,საქრუსენერგო“ დადებული ხელშეკრულებების დახურვის პროცესში.

4.13. საქართველოს კანონმდებლობაში და რეგულაციებში შეტანილი ნებისმიერი ის ცვლილება, რომელიც მატერიალურად უარყოფით გავლენას ახდენს ,,კომპანიის“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ ფინანსურ პირობებზე ამ ,,პროექტთან“ მიმართებაში, უნდა იქნას განსაზღვრული, როგორც ,,მატერიალურად უარყოფითი ქმედება“. ნებისმიერი უცილობელი დამატებითი ხარჯი, რომელიც მიადგება , ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიას“/,,კომპანიას“ ,,მატერიალურად უარყოფითი ქმედების“ შედეგად, უნდა ანაზღაურდეს ,,პუტ ოპციის“ ფასის აწევით. წინამდებარე პუნქტის დებულებები ძალაშია ,,ობიექტის“ კომერციული ოპერირების დაწყებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში.

4.14. ET და ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“/,,კომპანია“ ხელს მოაწერენ შესაბამის ხელშეკრულებას, რომელიც დაფუძნებული იქნება ,,აიღე ან გადაიხადე“ პრინციპზე და რომელიც უზრუნველჰყოფს ,,კომპანიის“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ უფლებას გამოიყენოს საექსპორტო ხაზი ,,ობიექტზე“ გენერირებული ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტირებისათვის. ET-ს ხელშეკრულებისა და ამ დროისათვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიამ ET უნდა უზრუნველჰყოს შესაბამისი სიმძლავრის მიწოდება ,,კომპანიისათვის“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანიისათვის“ ზემოხსენებულ ხაზზე, რათა შესაძლებელი გახადოს ,,ობიექტის“ მიერ საწარმოებელი ელექტროენერგიის ტრანსმისია ,,ობიექტის“ ექსპლოატაციაში გაშვებიდან 20 წლის განმავლობაში, ,,ტრანსმისიის ქსელის“ ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით.

4.15. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა ან ნებისმიერი სახელმწიფო დარგობრივი უწყება მოახდენს კონფისკაციას, სავალდებულო წესით მოიპოვებს, გააეროვნულებს ან სხვაგვარად სავალდებულო წესით შეიძენს ,,ობიექტს“, ,,კომპანიის/პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ სააქციო კაპიტალი ან აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა იქნას ანაზღაურებული ამ დროისათვის არსებული საბაზრო ფასით.

4.16. GSE და ,,საქრუსენერგო“ ,,კომპანიასთან“/პროექტის შემსრულებელ კომპანიასთან“ გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებებს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ,,კომპანიის“ და/ან ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ უფლება ,,ტრანსმისიის ქსელის“ გამოყენებაზე, ,,ტრანსმისიის შიდა ხაზის“ ჩათვლით.

4.17. ,,ძირითადი მხარეები“ შეიმუშავებენ და დაამტკიცებენ ადგილობრივ მცხოვრებთა გასახლების სამოქმედო გეგმას, რომელსაც განახორციელებს ,,კომპანია“ და/ან ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“. ამ გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამის ხარჯს გასწევს ,,კომპანია“ და/ან ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“. მოთხოვნის

შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა ,,კომპანიას“ და/ან ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ დაეხმარება გასახლების გეგმის განხორციელებაში საქართველოს კანონმდებლობის და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

ნაწილი 5. ,,ხელშეკრულების“ ძალაში შესვლა

5.1. წინამდებარე ,,ხელშეკრულება ძალაში შედის ,,ძალაში შესვლის თარიღიდან“ და ძალაში რჩება 20 წლის განმავლობაში. რაიმე სახის ეჭვის, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ,,ხელშეკრულების“ ძალის გასვლა და ამ ,,ხელშეკრულების“ შეჩერება (თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს მაჟორული ვითარებით, ნაწილი 15), გავლენას არ ახდენს ,,კომპანიის“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ საკუთრების, გამოყენების, ოპერირებისა და სამართლებრივ თუ სავაჭრო უფლებებზე (,,ობიექტზე“ გენერირებული ენერგიის გაყიდვის და ექსპორტირების ჩათვლით) ,,პროექტთან“ დაკავშირებით. ვადის გასვლის შემდეგ, ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ ფლობს სრულ უფლებას საკუთრებაში ჰქონდეს და ამუშაოს ,,ობიექტი“, აწარმოოს ელექტრო ენერგია და გაყიდოს და/ან ექსპორტზე გაიტანოს მის მიერ წარმოებული ან მისი სავაჭრო სახელით შეძენილი ენერგია მთლიანად საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

5.2. თუ გარკვეული პერიოდის შემდეგ, წინამდებარე ,,ხელშეკრულება“ რაიმე ფორმით შეჩერდება, მაგ. ამ ,,ხელშეკრულების“ მე–15 ნაწილში მოხსენიებული ფორს მაჟორული ვითარების გამო და თუ ამ ვითარების გამოსწორების შემდეგ, ფიზიკურად შესაძლებელია ,,პროექტის“ მშენებლობის და/ან ოპერირების გაგრძელება, მაშინ ,,მხარეები“ თანხმდებიოან, რომ შევლნ კეთილსინდისიერ დისკუსიებში ახალი შეთანხმებების დადების მიზნით. ახალ შეთანხმებებს ძირითადად ექნება იგივე პირობები, რაც ამ ,,ხელშეკრულებას“, ასევე, ,,ხელშეკრულებებს ტრანსმისიის შესახებ“ (ტრანსმისიის ხაზისა და საექსპორტო ხაზის გავლით) და ასევე, თუ ხელმისაწვდომია, ხელშეკრულებას ენერგიის შესყიდვის შესახებ.

ნაწილი 6. ,,ხელშეკრულების“ შეწყვეტა და ზარალის ანაზღაურება

6.1. საქართველოს მთავრობას აქვს უფლება, ,,კომპანიისათვის“ და/ან ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, შეწყვიტოს ,,ხელშეკრულება“, თუ ადგილი აქვს შემდეგს:

(ა) ,,კომპანიამ“/,,პროექტის შემსრულებელმა კომპანიამ “ ვალდებულებები“ ვერ შეასრულა დადგენილ ვადაში (პუნქტი 3.3) და დაგვიანებაზე წერილობითი ახსნა–განმარტება არ წარუდგენია. შესაბამისად, კომპანიას არ მიეცა დამატებითი ვადა პუნქტების 4.8, 4.9 და 4.10, ასევე, მას არ შეეხო ,,ჯარიმის“ მაქსიმალური ლიმიტი;

(ბ) ,,კომპანია“ და/ან ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ არ განახორციელებენ გადახდებს პუქტში 4.6 განსაზღვრული რიგითობით.

6.2. ამ ,,ხელშეკრულების სხვა რომელიმე დებულების შეზღუდვის გარეშე, ,,კომპანიას“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ საქართველოს მთავრობა ვერ ასრულებს პუნქტში 4.12

განსაზღვრულ ვალდებულებას. აღნიშნული მიზეზით ,,ხელშეკრულების“ შეწყვეტის შესახებ საქართველოს მთავრობას უნდა ეცნობოს არაუგვიანეს 60 (სამოცი) დღის ვადაში.

6.3. წინამდებარე ,,ხელშეკრულების“ დებულებათა შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ,,ხელშეკრულება“ შეწყდება რომელიმე ,,ძირითადი მხარის“ მიერ, ვალდებულებათა დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ზარალი (არა მხოლოდ დაკარგული მოგება), მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ ვალდებულებათა დარღვევა გამოწვეულია ამ მხარის მიერ.

6.4. ,, ძირითადი მხარეები“ თანხმდებიან და აცნობიერებენ, რომ თუ ადგილი ექნება ამ ,,ხელშეკრულების“ შეწყვეტას ,,კომპანიის“ მხრიდან საქართველოს მთავრობის მიერ ვალდებულებათა დარღვევის მიზეზით, საქართველოს მთავრობა ვალდებულია ,,კომპანიას“/,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ აუნაზღაუროს შემდეგი:

(ა) ინვესტიციის ხარჯები;

(ბ) მასალების ან საქონლის ღირებულება, რომელიც შეკვეთილი იყო სამუშაოების საწარმოებლად და რომელიც უნდა მიეღო ,,კომპანიას“/,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ ან რომლის მიღებაზეც სამართლებრივად იყო პასუხისმგებელი ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ . ამგვარი მასალები ან საქონელი გახდება საქართველოს მთავრობის საკუთრება, მას შემდეგ რაც იგი გადაიხდის მის ღირებულებას;

(გ) პროექტის შემსრულებელი კომპანიის/კომპანიის თანამშრომელთა და სამუშაოზე დასაქმებული ან მასთან დაკავშირებული მუშახელის რეპატრიაციის ხარჯები .

6.5. საქართველოს მთავრობის მიერ ,,კომპანიისათვის“ ან ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიისათვის“ ხარჯების ანაზღაურების შემდეგ, ყველა სახის ხელშესახები და არახელშესახები აქტივებისშექმნილი და/ან დაფინანსებული საინვესტიციო ხარჯებიდან, რომელთაც ანაზღაურებს საქართველოს მთავრობა გადაეცემა საქართველოს მთავრობას საკუთრებაში და ეს გადაცემა თავისუფალია ყოველგვარი დაბრკოლებისაგან.

6.6. თუ წინამდებარე ,,ხელშეკრულებას“ შეწყვეტს საქართველოს მთავრობა პუნქტის 6.1 შესაბამისად, ,,გადაცემული აქტივები“, როგორც ეს პუნქტის 4.12 ნაწილში ,,გ“ არის განსაზღვრული, გადავა სახელმწიფო საკუთრებაში ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ,,კომპანიას“/,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ უფლება აქვს დაშალოს ხელშეუხები აქტივები და შეინარჩუნოს საკუთრების უფლება და მოხსნას ხელშესახები აქტივები, რომლებიც განთავსებულია ,,ობიექტის“ იმ ტერიტორიაზე, რომელიც შექმნილი ან დაფინანსებული იყო ,,კომპანიის“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ მიერ გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ,,ძირითად მხარეებს“ შორის არსებობს ორმხრივი შეთანხმება.

ნაწილი 7. ჩამნაცვლებელი უფლებები

7.1. საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ მას არ აქვს ამ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება ამ ,,ხელშეკრულების“ ნაწილის 6 შესაბამისად, ვიდრე არ იქნება შესაბამისობა ამ

ნაწილში განსაზღვრულ პროცედურასთან. ამ ნაწილის დებულებები ამოქმედდება მხოლოდ მას შემდეგ,რ აც ,,გამსასესხებლებთან“ გაფორმდება ,,ფინანსური ხელშეკრულებები“.

7,2 იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა მოინდომებს ამ ,,ხელშეკრულების“ შეწყვეტის უფლების ამოქმედებას ,,კომპანიისათვის“ ან ,,პროექტის შემსრულებელი კომპანიისათვის“ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე (როგორც ეს განსაზღვრულია ნაწილში 6), საქართველოს მთავრობა შეტყობინებას უგზავნის ,,გამსესხებლებსაც“ (,,შეტყობინება შეწყვეტის უფლების შესახებ“).

7.3. მას შემდეგ, რაც ,,გამსესხებელი“ მიიღებს ,,შეტყობინებას ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შესახებ“, სამი თვის ვადაში, იმის გათვალისწინებით, რომ გამსესხებლები“ უზრუნველჰყოფენ ფინანსური უფლებებისა და ,,კომპანიის“/პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ ინტერესების დაცვას, ,,გამსესხებლებს“ უნდა ჰქონდეთ უფლება დაასახელონ უწყება (,,ჩამნაცვლებელი უწყება“), რომელიც გააგრძელებს პროექტის განხორციელებას და უზრუნველჰყოფს მშენებლობის დასრულებას ნაწილში 3.3 განსაზღვრულ ვადაში.

7.4. ,,გამსესხებლებს“ უფლება აქვთ ამგვარი ცვლილება განახორციელონ სამ თვეში, მას შემდეგ, რაც მიიღებენ შეტყობინებას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“. იმისათვის, რომ ჩანაცვლება ძალაში შევიდეს, ,,გამსესხებლებმა“ საკუთარი განზრახვა უნდა შეატყობინონ საქართველოს მთავრობას (,,შეტყობინება ჩანაცვლების შესახებ“). ასევე, აუცილებელია მთავრობას მიაწოდონ ინფორმაცია, იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობამ შეძლოს გადამოწმება , თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული ამ მუხლის პირობები.

7.5. ,გამსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს ახალი პირობები საქართველოს მთავრობასა და ჩამნაცვლებელ უწყებას შორის სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებები საქართველოს მთავრობასა და ჩამნაცვლებელ უწყებას შორის იქნება იგივე, რაც წინა ხელშეკრულებაში ,,კომპანიას“, ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიასა“ და საქართველოს მთავრობას შორის.

7.6. საქართველოს მთავრობა, ,,ჩანაცვლების შესახებ შეტყობინების“ მიღებიდან გონივრულ ვადაში და ნებისმიერ შემთხვევაში ორი თვის მანძილზე, ვალდებულია ,,გამსესხებლებს“ წერილობით დაუდასტუროს შეტყობინების მიღება ან არ მიღება. დაუშვებელია საქართველოს მთავრობამ უმიზეზოდ თქვას უარი შეტყობინების მიღებაზე.

ნაწილი 8. პროექტზე გავლენის მომხდენი სხვა მოვლენები

8.1 საქართველოს მთავრობა თანახმაა, რომ ინიცირებას არ გაუკეთებს, არ დაამტკიცებს, არ მისცემს უფლებამოსილებას, თანხმობას ან სხვაგვარად არ დაამტკიცებს რომელიმე პროექტს, განვითარების გეგმას ან სხვა სქემას (ნებისმიერი სახის), რომელსაც შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს (კომპანიის აზრით) ,,ობიექტის“ ტექნიკურ პარამეტრებზე.

ნაწილი 9. დისკრიმინაციული ცვლილება კანონში და გადასახადებში

9.1. საქართველოს მთავრობა თანხმდება, რომ არ გაუკეთებს ინიცირებას ან არ გამოვა ცვლილებების შემოთავაზებით კანონში ან დაამტკიცებს სხვა რაიმე რეგულაციებს, რომლებიც პირდაპირ შეეხება:

(ა) პროექტს და არა მსგავს პროექტებს, რომლებიც შესყიდულია საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე.

(ბ) პროექტის შემსრულებელ კომპანიას ან კომპანიას და არა სხვა პირს

(გ) ნებისმიერ კონტრაქტორს ან ოპერატორს, რომლებთანაც ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას ან ,,კომპანიას" გააჩნია სახელშეკრულებო ვალდებულებები ,,პროექტთან" და არა სხვა პირებთან დაკავშირებით.

9.2. საქართველოს მთავრობა არ გამოვა ინიცირებით ან ცვლილებების შემოთავაზებით კანონში რომელიმე დისკრიმინაციულ გადასახადთან ან სხვა მსგავს ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მკაფიოდ ეხება:

(ა) პროექტს და არა მსგავს პროექტებს, რომლებიც შესყიდულია საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე.

(ბ) პროექტის შემსრულებელ კომპანიას ან კომპანიას და არა სხვა პირს

(გ) ნებისმიერ კონტრაქტორს ან ოპერატორს, რომლებთანაც ,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას ან ,,კომპანიას" გააჩნია სახელშეკრულებო ვალდებულებები ,,პროექტთან" და არა სხვა პირებთან დაკავშირებით.

ნაწილი 10. აქციების გადაცემა

10.1. კომპანიაში/პროექტის შემსრულებელ კომპანიაში აქციების გაყიდვა, გადაცემა ან ასიგნება არ იზღუდება აქციონერების მიერ. ,, კომპანიაში"/,,პროექტის შემსრულებელ კომპანიაში" აქციონერებს უფლება აქვთ გაყიდონ, ასიგნება გაუკეთონ ან გადასცენ საკუთარი აქციები სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს ან უწყებას ნებისმიერ დროს.

ნაწილი 11. უზრუნველყოფა

11.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ,,კომპანია" და ,,პროექტის შემსრულებელი კომპანია" და პროექტის შემსრულებელი კომპანიის აქციონერები უფლებამოსილნი არიან ჰქონდეთ რაიმე სახის უზრუნველყოფა ,,გამსესხებლების" წინაშე, ისე რომ ამისათვის არ მოიპოვონ წინასწარი წერილობითი თანხმობა საქართველოს მთავრობისაგან, როცა ეს ეხება ,,გამსესხებელთა" მიერ ,,პროექტის" დასაფინანსებლად საჭირო ფინანსების გაღებას (იხილეთ ამ ,,ხელშეკრულების" პუნქტი 4.12 (გ).

ნაწილი 12. ცვლილებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებას თუ ამაზე მხარეებს შორის არსებობს წერილობითი შეთანხმება.

12.2. თუ ამ ,,ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლი ან დებულება უქმდება ან არაკანონიერია, კონკრეტული მუხლის ან დებულების გაუქმება გავლენას არ ახდენს ამ ,,ხელშეკრულების“ სხვა დებულებებზე ან მუხლებზე. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ მათ უნდა გასწიონ ყველა საჭირო ძალისხმევა, რათა გაუქმებული დებულებები ჩანაცვლდეს ან შეიცვალოს მსგავსი ეფექტის მქონე დებულებებით და არ დაირღვეს ამ ,,ხელშეკრულების“ მიზანი და მიმდინარეობა.

12.3. საქართველოს მთავრობა თანახმაა გაითვალისწინოს ,,კომპანიის“ კეთილსინდისიერი მოთხოვნა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ,,გამსესხებელთა“ მოთხოვნების გათვალისწინებით. კერძოდ:

(ა) იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მთავრობა გაითვალისწინებს ამგვარ მოთხოვნებს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მას არ მოეთხოვება ამგვარი ცვლილებების მიღება.

(ბ) საქართველოს მთავრობის მიერ ,,კომპანიის“ მოთხოვნის არ მიღება არ უნდა ჩაითვალოს ამ ,,ხელშეკრულების“ დარღვევად;

(გ) ,,კომპანიას“/,,პროექტის შემსრულებელ კომპანიას“ არ აქვს უფლება დაგვიანებით შეასრულოს ვალდებულებები იმ მიზეზით, რომ საქართველოს მთავრობამ არ მიიღო ,,კომპანიის“ თხოვნა.

ნაწილი 13. შეტყობინებები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება (,,შეტყობინება“)აუცილებელია გაიგზავნოს:

(ა) წერილობითი ფორმით;

(ბ) ინგლისურ ენაზე, თანმხლები ქართული თარგმანით;

(გ) პირადად ან პირველი კლასის ფოსტით (საჰაერო ფოსტით ოკაენის გაღმა ქვეყნებში), კურიერის ან ფაქსის (რომელსაც მიჰყვება ორიგინალი დოკუმენტი) საშუალებით. ერთი მხარე მეორე მხარეს შეტყობინებას უგზავნის მის მიერ ამ ,,ხელშეკრულებაში“ მითითებულ მისამართზე ან სხვა მისამართზე, სხვა პირთან ან ფაქსის ნომერზე, რომელსაც ეს მხარე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარე.ს

13.2. პუნქტში 13.1 მოხსენიებული შეტყობინება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნაწილი 14. მმართველი კანონმდებლობა და დავების გადაჭრა

14.1. წინამდებარე ,,ხელშეკრულება“ ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები არ დაიშურებენ ძალისხმევას, რათა ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი დავა, შეუთანხმებლობა ან საჩივარი წარმოშობილი ან დაკავშირებული ,,ხელშეკრულების“ პირობების დარღვევასთან, შეწყვეტასთან,

ანულირებასთან ან არასწორ ინტერპრეტაციასთან. ,,მხარეები“ თანხმდებიან , რომ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები რეგულარულად შეიკრიბებიან ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, რათა ურთიერთშეთანხმებით დაარეგულირონ მათ შორის არსებული დავები და შეუთანხმებლობა. მათი გადაწყვეტილება ურთიერთშეთანხმების შესახებ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს წერილობითი ფორმა და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. ამ დებულების მიზნებიდან გამომდინარე, ,,პროექტის“ განხორციელების შესაბამისობის სტატუსთან დაკავშირებით არსებული დავების გადაჭრა არის დამოუკიდებელი, ორმხრივად მისაღები პირის, კომპანიის ან უწყების პრეროგატივა.

14.3. ნებისმიერი დავა, რომლის გადაჭრა ვერ ხერხდება მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით 30 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ერთი მხარე მეორე მხარეს გაუგზავნის წერილობით მოთხოვნას, გაიგზავნება არბიტრაჟში ,,საინვესტიციო დავების გადაჭრის საერთაშორისო ცენტრის“ არბიტრირების პროცედურების წესების შესაბამისად. საქმის წარმოება მოხდება ინგლისურ ენაზე ჟენევაში, შვეიცარიაში. ამგვარი საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება ჩაითვლება საბოლოოდ და მხარეთა შემაკავშირებლად. გადაწყვეტილება არ ექვემდებარება შემდგომ აპელაციას.

ნაწილი 15. ფორს მაჟორი

15.1. ფორს მაჟორული ვითარების განმარტება

ფორს მაჟორული ვითარება ნიშნავს რაიმე განსხვავებულ მოვლენას, რომელიც აღემატება ამ ,,ხელშეკრულების“ მხარეთა გონივრულ კონტროლს, რომლის წარმოშობის წინასწარ განჭვრეტა მხარეების მიერ შეუძლებელი იყო ,,ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს“. ეს მოვლენებია (და არა მარტო): ომი (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), რევოლუცია, აჯანყება, ბუნტი, ზოგადი და უკანონო გაფიცვები, მესამე მხარის კომპანიების თანამშრომელთა გაფიცვები, სამოქალაქო მღელვარება, დაპყრობა, შეიარაღებული კონფლიქტი, უცხო ქვეყნის ძალისმიერი ქმედებები , ბლოკადა, ემბარგო, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური და ქიმიური მოწამვლა, იონიზირებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, ზვავი, ქარიშხალი, მეწყერი, მეხი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა ბუნებრივი უბედურებები ან მსგავსი მოვლენები.

15.2. შეტყობინება ფორს მაჟორული ვითარების შესახებ

თუ რომელიმე მხარე გახდება პუნქტში 15.1 მოხსენიებული ფორს მაჟორული ვითარების მსხვერპლი, მან აუცილებელია ამის შესახებ წერილობით აუწყოს მეორე მხარეს როგორც კი ამის შესახებ თავად შეიტყობს და ამის ფიზიკური შესაძლებლობა მიეცემა. დაზარალებული მხარე, თავის მხრივ, დაუყოვნებლივ უგზავნის წერილობით შეტყობინებას მეორე მხარეს ფორს მაჟორული ვითარების შეწყვეტიდან 20 სამუშაო დღის ვადაში. ,,კომპანია“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანია“ უგზავნის დეტალურ ანგარიშს საქართველოს მთავრობას, სადაც მითითებულია ფორს მაჟორული ვითარების მიზეზები და შედეგები.

15.3. ვალდებულებათა დაურღვევლობა

იმ შემთხვევაში, თუ ფორს მაჟორული ვითარება ხელს უშლის რომელიმე მხარის მიერ ამ ,,ხელშეკრულებაში“ გაწერილ ვალდებულებათა მთლიან ან ნაწილობრივ შესრულებას, ვალდებულებათა დამრღვევ ,,მხარეს“ უნდა ეპატიოს ვალდებულებათა შეუსრულებლობა, რადგან ეს გამოწვეულია ფორს მაჟორული ვითარებით. შესაბამისად, ეს არ უნდა გახდეს საფუძველი მეორე მხარისათვის შეწყვიტოს ,,ხელშეკრულება“, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებზეც საუბარია ამ ,,ხელშეკრულებაში.

15.4. ,,ხელშეკრულების“ შეწყვეტა ფორს მაჟორული ვითარების მიზეზით

(ა) თუ ფორს მაჟორული ვითარება წარმოიშობა და გრძელდება მთლიანობაში სულ მცირე 120 დღე 12 თვის განმავლობაში და პუნქტში 15.3 აღწერილი შედეგების მსგავს ზემოქმედებას ახდენს, მაშინ, რომელიმე ,,ძირითადი მხარეს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ,,ხელშეკრულება“.

(ბ) გარდა ამისა, თუ ფორს მაჟორული ვითარება წარმოიშობა და მის შედეგები მატერიალურ და უარყოფით გავლენას ახდენს ,,კომპანიის“/,,პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ ეკონომიკურ და კომერციულ მდგომარეობაზე იმ დღესთან შედარებით, რომელიც ,,ხელშეკრულების ძალაში შესვლისას ჰქონდა კომპანიას, ან იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელშიც ,,კომპანია“ იქნებოდა რომ არა ფორს მაჟორული ვითარება და მისი შედეგები და თუ ამგვარი ვითარება და/ან მისი შედეგები გრძელდება სულ მცირე 120 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ,,კომპანიამ“ ან ,,პროექტის შემსრულებელმა კომპანიამ“ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება საქართველოს მთავრობას, მაშინ, ,,კომპანიას“, იმის მიუხედავად, თუ რა შეთანხმება არსებობს ამასთან დაკავშირებით, უფლება აქვს შეწყვიტოს ,,ხელშეკრულება“

16. მთლიანი ,,ხელშეკრულება“

16.1 წინამდებარე ,,ხელშეკრულება“ მზადდება ოთხი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად ინგლისურ ენაზე.

16.2. წინამდებარე ,,ხელშეკრულება“ ძალაში შედის ,,ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან“.